ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში

(ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2023წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად)

N	საქმიანობის ინდიკატორი	შესრულება	შენიშვნა
1.1.	1.1.1. ა. შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო 1.1.1.ბ. დადგენილია საბჭოს წევრების ფუნქციები	1.1.1.ა. 202 წლის 03 დეკემბრის ახალი მოწვევის საკრებულოს შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2021 წლის 18 იანვრის ბრძანებით N№47.47220181 შეიქმნა და განისაზღვრა ახალი გენდერული თანასწორობის საბჭო და საკრებულოს მისი შემადგენლობა, საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 1 ნოემბრის N 100 ბრძანების საფუძველზე განახლდა გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა. 2023 წელს ჩატარებულია საბჭოს 9 სხდომა და ოქმები ატვირთულია მუნიციპალიტეტის ვებ. გვერდზე **chokhatauri.gov.ge**.	
1.1.	1.1.2.ა. საქართველოს პარლამენტის გენდერულ საბჭოში გაგზავნილი წინადადებები და მათგან მიღებული რეკომენდაციები 1.1.2.ბ. თანამშრომლობა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მათგან რეკომენდაციების მიღება	1.1.2.ა. საქართველოს გენდერული თანასწორობის საბჭოდან მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულია, შესაბამისად დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა კამპანიები და აქტივობები. 1.1.2.ბ. აქტიურად თამნამშრომლობს საბჭო რამდენიმე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან (NDI), ფონდი „სოხუმი“, „ქალები ქალებისთვის“, „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“, ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა, საქართველოს შშმ ქალთა ცენტრი.	მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩატარდა რამდენიმე ღონისძიება შშმ პირთა, სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, გენდერული თანასწორობის საკითხებზე და მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე ცნობიერების

			ამაღლების მიმართულებით.
1.1.	1.1.3.მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ამსახველი მასალების, კვლევების, პუბლიკაციებისა და ანალიტიკური მასალების გამოქვეყნება	1.1.3. მუნიციპალიტეტის ახალ ვებ-გვერდზე (https://chokhatauri.gov.ge/?page_id=1716) და საბჭოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო“(https://www.facebook.com/profile.php?id=100081856087312&ref=embed_page) ხდება გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ამსახველი მასალების, კვლევების, პუბლიკაციებისა და ანალიტიკური მასალების გამოქვეყნება	

1.2	1.2.1. მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გენდერული მიდგომების გათვალისწინება	1.2.1. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ გამოცხადებულ ყველა საკონკურსო კომისიაში მონაწილეობს გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები და შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გენდერული მიდგომები გათვალისწინებულია.	
1.2	1.2.2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობისას (საჯარო შეხვედრები, დისკუსიები, სოფლის კრებები და სხვა) გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინების ხელშეწყობა	1.2.2.მოქალაქეთა ჩართულობა, მათ შორის ქალების აქტიურობა და ჩართულობა ყოველწლიურად იზრდება, ტარდება საბჭოს გასვლითი სხდომები, საჯარო შეხვედრები, დისკუსიები სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებთან, სოფლის კრებებზე ხდება გენდერული ბალანსის დაცვის უზრუნველყოფა, ინფორმაციის აღრიცხვა და ამით ხორციელდება გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინების ხელშეწყობა. 2023 წელს მუნიციპალიტეტში ჩატარდა 63 სოფლი დასახლების კრება, სულ მონაწილობა კრებებზე მიიღო1540 მოქალაქემ, აქედან 498 ქალი და 1042 კაცი იყო.	

1.3	1.3.1. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებულია გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და სისტემატიზაციის ფორმები, მერიას მიეწოება რეკომენდაციები და მერიის შესაბამის სამსახურებს დაევალებათ საბჭოსთვის სეგრეგირებული მონაცემების მიწოდება.	1.3.1. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებულია გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და სისტემატიზაციის ფორმები, რომლებიც მერიას მიეწოდა რეკომენდაციის სახით და მერიის შესაბამის სამსახურმა წარმოადგინა შესაბამისი ინფორმაცია შემუშავებული ფორმებით.	
1.4	1.4.1.მერიის სტრუქტურული ერთეულების გენდერული აუდიტის ჩატარება	1.4.1. მერიის სტრუქტურული ერთეულების გენდერული აუდიტის ჩატარება 2023 წელს არ განხორციელებულა.	
1.5	1.5.1. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისა და გენდერულ საკითხებზე გამოყოფილ/დანიშნულ პასუხისმგებელ პირებისათვის ჩატარებულია სპეციალური ტრენინგები	1.5.1.მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის და მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე დანიშნულ პასუხისმგებელ პირებისათვის ჩატარებულია რამდენიმე სპეციალური ტრენინგები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.	

1.5	1.5.2. გენდერული თანასწორობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.	1.5.2. გენდერული თანასწორობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები ხორციელდება მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, ჩატარდა ღონისძიებები სადაც მოწვეულები იყვნენ მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღები პირები, მათ შორის ქალთა ფორუმი „ქალები ცვლიან...“ , შშმ პირთ ა დედებთან შეხვედრები, საბჭოს გასვლითი სხდომები და შეხვედრებში სოფლებში. შედეგად განდერული თანასწორობის საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად გათვალისწინებული ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდა, ასევე მონაწილობა ტრენინგ-შეხვედრებში.	
1.5	1.5.3.ორგანიზებულია საინფორმაციო შეხვედრები თემაზე - ქალთა უფლებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა. ადრეული ქორწინება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მოხუცებულთა, ბავშვთა უფლებები და სხვა სამიზნე ჯგუფებთან: მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, ბაღის პედაგოგები, , მერიას დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები	1.5.3. ჩატარებულია 10 შეხვედრა სხვადასხვა თემებზე საბჭოს სხვადასხვა წევრების მიერ, მათ შორის ქალთა უფლებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ბავშვთა უფლებების დაცვა. ადრეული ქორწინება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მოხუცებულთა, ბავშვთა უფლებები და სხვა სამიზნე ჯგუფებთან: მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, ბაღის პედაგოგები, მერიას დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები. მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირებმა გენდერული მგრძნობელობის ასამაღლებლად. მონაწილეობა მიიღეს ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგებში და შეხვედრებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე, მათ შორის შრომითი დისკრიმინაცია, სექსუალური შევიწროება, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.	

1.6	1.6.1.ა. კვლევის ჩასატარებლად ადამიანური და ფინანსური რესურსის მოძიება 1.6.1.ბ.სამიზნე ჯგუფების შერჩევა	1.6.1. ა. კვლევის ჩასატარებლად მოძიებულ იქნა რესურსი და 2022 წელს დამატებით ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტის (NDI) მიერ გადაემზადა 2 მოდერატორი, სულ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ შერჩეული 4 მოდერატორია გადამზადებული. 2023 წელს დამატებითი გადამზადება არ განხორციელებულა 1.6.2. ბ. სამიზნე ჯგუფად საბჭოს მიერ შერჩეული იქნა ზრდასრული შშმ პირი ქალები	
1.6	1.6.2. კვლევის ჩატარება ფოკუსჯგუფებში	1.6.2. ზრდასრულ შშმ პირ ქალებთან 2022 წელს კვლევა ვერ დასრულდა, შემუშავებული კითხვარი და განსაზღვრულია სამიზნე ჯგუფი. ეს აისახება 2024 წლის სამუშაო გეგმაში, რადგან კვლევა სრულყოფილად ჩატარდეს და დასრულდეს. .	

1.6	1.6.3. მონიტორინგის განხორციელება	1.6.3. საბჭოს მიერ ხორციელდება მონიტორინგი მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და შუამდგომლობებზე, როგორც გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგის კუთხით ასევე საბჭოს მიერ შემუშავებული საბიუჯეტო ინიციატივების საფუძველზე დანერგილი მუნიციპალური პროგრამების განხორციელებაზე. მონიტორინგი განხორციელდა კონკრეტულ ბენეფიციარებთანაც რომლებმაც ისარგებლეს საბჭოს ინიციატივის საფუძველზე დანერგილი მუნიციპალური პროგრამებით.	
1.7	1.7.1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გათვალისწინებულია სამოქალაქო სექტორის ჩართულობით განხილული და მათ მიერ წამოჭრილი საკითხები	1.7.1. სამოქალაქო სექტორის მიერ წარმოდგენილი ინიციატივები გათვალისწინებული სხვადასხვა მუნიციპალურ პროგრამებში. განსაკუთრებით აქტიურია თანამშრომლობა ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.	

1.8	1.8.1. ახალგაზრდების საჭიროებების დადგენის მიზნით ახალგაზრდებთან (მათ შორის შშმ პირებთან) შეხვედრების ჩატარება	1.8.1. ახალგაზრდებთან მათი საჭიროებების დადგენის მიზნით განხორციელდა 5 შეხვედრა, გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭომ მონაწილეობა მიიღო საბჭოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, მათ შორის ქალთა ფორუმში, წარმოდგენილი იქნა ახალგაზრდები იდეები და მათი განხორციელებული პროექტები, ასვე მათ მონაწილეობა მიიღეს საქველმოქმედო აქციაში მარტოხელა მოხუცებისთვის „ თაობები ერთმანეთისთვის“ , ასევე ახალგაზრდებისთვის გაიმართა ფილმის ჩვენება და ჩაუტარდათ ტრენინგები გენდერული თანასწორობის საკითხებზე.	
2.1	2.1.1. ა.გენდერულ ჭრილში საბიუჯეტო ინიციატივების მომზადება და წარდგენა აღმასრულებელი ორგანოსთვის 2.1.1.ბ.მუნიციპალიტეტის სპორტისა და კულტურის სფეროში არსებული პროგრამების გენდერული ანალიზი	2.1.1.ა. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს წარედგინა რამდენიმე საბიუჯეტო ინიციატივა გენდერულ ჭრილში, კონკრეტულად: მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებისთვის ყოველთვიური ფულადი დახმარება 100(ასი) ლარის ოდენობით, ასევე შშმ პირთა დედების ეკონომიკური გაძლიერებისთვის ბიზნეს იდეების დაფინანსება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის კონკურსის ჩატარება და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მუხლის დამატება და ქვეროგრამის კოდის მინიჭება 05 05. ყველა ეს ინიციატივა აისახა 2023 წლის ბიუჯეტში და დაფინანსდა. 2. 1. 2. ბ. .მუნიციპალიტეტის სპორტისა და კულტურის სფეროში არსებული პროგრამების გენდერული ანალიზი შესრულებულია	

2.2	2.1.2. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით წარმოდგენლი დასაფინანსებელი პროექტების განხილვა და შუამდგომლობების მომზადება	2.1.2. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით მუნიციპალიტეტში განხორციელდა 2 პროგრამა, ერთი შშმ პირთა დედების ბიზნეს იდეების დაფინანსება (9 200 ლარი), დაფინანსდა 13 შშმ პირის დედა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით კონკურსის ჩატარება, რომელშიც გამარჯვებული მეწარმე ქალი დაფინანსდა 5 000 ლარით.	
2.3	2.3.1. ძალადობის მსხვერპლთა განაცხადების განხილვა და შუამდგომლობების მომზადება	2.3.1. 2023 წელს მუნიციპალიტეტში წარდგენილი და განხილული იქნა 2 განცხადება, ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის მიზნით და ორივე ბენეფიციარი დაფინანსდა.	მუნიციპალიტეტში შექმნილია შესაბამისი კომისია სოციალურ სამსახურში, ასევე შექმნილია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების უწყებათაშორისი კომისია.

3.1	3.1.1. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ღონისძიებებისა და შეხვედრების ჩატარება	3.1.1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ 16 დღიანი ნარინჯისფერი კამპანიის ფარგლებში 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე აქტიური კამპანია აწარმოა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, არაერთი საინტერესო შეხვედრა გაიმართა(იხ. გენდერული თანასწორობის საბჭოს fb გვერდი https://www.facebook.com/profile.php?id=100081856087312) : მომზადდა ვიდეორგოლი მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების მიერ. საბჭოს წევრებმა საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები გაავრცელეს და გასვლითი აქცია ჩატარდა. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები სოფელ შუა ამაღლების საჯარო სკოლაში მოსწავლეებს და მშობლებს შეხვდნენ, სადაც წარდგენილი იქნა ქალთა ფონდი „სოხუმის“ საიტი„ძალადობის მსხვერპლთა ციფრული რესურს-ცენტრი“ (https://sosfsokhumi.ge/map), გაიმართა ანიმაციის ჩვენება და გაიმართა დისკუსია, რომელიც ადრეულ ქორწინებას ეხებოდა, ასევე ისაუბრეს ბავშვთა უფლებების დაცვისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ პრევენციის ღონისძიებებზე. შეხვედრა ჩატარდა სოფ. ზოტის საჯარო სკოლაში შეხვედრა გაიმართა თემაზე : „ადრეული ქორწინება“ , ასევე გენდერული ნიშნით ძალადობის გამომწვევი მიზეზები და პრევენციის ღონისძიებები, გაიმართა ანიმაციის ჩვენება და გაიმართა დისკუსია. გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების გალერეაში ახალგაზრდებისთვის ფილმის „გრძელი ნათელი დღეები“ (რეჟისორები: ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი) ჩვენება გაიმართა. გენდერული საბჭოს ინიციტივით საბჭოს წევრები რამდენიმე ზრდასრულ შშმ ქალს ესტუმრნენ და საჩუქრები გადასცეს. ამერიკის სოლიდარობის ცენტრის საქართველოს ოფისმა ჩაატარა ერთდღიანი სემინარი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის, მათ შორის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის.	

3.2	3.2.1. ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ჩატარებულია შეხვედრები და დისკუსიები მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში	3.2.1. სკოლის მოსწავლეებთა და ახალგაზრდებთან ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა თემებზე: ადრეული ქორწინება, გენდერული ნიშნით ძალადობა, მოეწყო მოსწავლეებისთვის ფილმისა და სხვადასხვა თემატური ანიმაციების ჩვენება და განხილვა. შეხვედრებში ჩართულები იყვნენ სამოქალაქო განათლების პედაგოგები. ორგანიზებული იქნა რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა თემაზე - ქალთა უფლებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა. ადრეული ქორწინება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მოხუცებულთა, ბავშვთა უფლებები და სხვა სამიზნე ჯგუფებთან, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად.	
3.3	3.3.1. რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში საინფორმაციო შეხვედრებისა და დისკუსიების გამართვა	3.3.1. რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში კონკრეტულად სოფლებში ზოტსა და ჩხაკაურაში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და დისკუსიები. ასევე გაიმართა საბჭოს გასვლითი სხდომა.	

3.4	3.4.1. სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები ადრეული ქორწინების პრევენციის ხელშესაწყობად	3.4.1. 2023 წელს სკოლის მოსწავლეებთან ჩატარდა 5 შეხვედრა, ადრეული ქორწინების პრევენციის ხელშესაწყობის მიზნით.	.
4.1	4.1.1.ა. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მონიტორინგისა და შეფასების ფორმების შემუშავება 4.1.1.ბ. მონიტორინგისა და შეფასების ჩატარება და რეკომენდაციების შემუშავება	4.1.1. ა. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ კონკრეტული შეფასების ფორმა არ დამტკიცებულა 4.1.1.ბ. მონიტორინგი განხორციელდა საბჭოს ინიციატივის საფუძველზე დანერგილ მუნიციპალურ პროგრამებზე.	